

რედაქცია

მელიამინოვის ქუჩაზე, პრეტო ჩაიგეშტოვის სახ-
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიამინოვის სტამბაში.
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ
редакцію газеты „Дრობა“.

გაზეთის ღირებულება

წელიწადში 8 — მან., ნახევარ წელიწადში —
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.
ცალკე ნომერი — ერთი შუბრი.

განცხადება

შიღღბა ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრან-
ცულს ენებზე.

განცხადების ღირებულება

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით,
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ.
და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს
და შეამოკლებს გამოცხადებულ სტატიებსა,
დაუბუქდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირაკლით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

რედაქციაში (მელიამინოვის ქუჩა-
ზე, ჩაიგეშტოვის სახლებში) მიიღება
ხელის-მოწერა ამ 1876 წლის

„დროებაზე“

შესანი მთელი წლისა — 8 მან.
ნახევარი წლისა — 4 მან. და 50 კ.
სამის თვისა — 2 მან. და 50 კ.
ერთი თვისა — 1 მან. „ „ „
ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის შემ-
დგენის აღრისით უნდა დაიბარონ გა-
ზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію
газеты „Дრობа.“
ახალი ხელის-მოწერები ყველა
ამ წლის ნომრებს თავიდავე მიი-
ღებენ.
ჩვენს აგენტებს შარშანდელი ფუ-
ლების დროზე გამოგზავნის თხოვ-
ნას ეუბნებოდნენ.

თფილისის ლუბანის თავად-
აზნაურთა წინამძღოლი სახლ-
ველთაოთ აცხადებს, რომ ვალს,
1 მაისიდან დაიწყება ჩვეულებ-
რივი კრება ლუბანისა და უე-
ზდის თავად-აზნაურთა წინამ-
ძღოლთა აღსარებად. (პ-1)

თფილისის თავად-აზნაურთა-
გის საადგილ-მამულთა განის
ჯადამხადველი კომიტეტის თავს-
ჯდომარე, ვახტანგის 83 მუხ-
ლის საუბრებით, აცხადებს, რომ
ჩვეულებრივი საზოგადო კრება
განის თაობაზე დაიწყება თა-
ვის სხდომას ამ 1876 წლის მა-
ისში. უზრუნველყოფით თა-
ვის დროზე იმეება გამოცხადე-
ბული. (პ-1)

საქართველო

საზოგადო ლაშქრობა

დიდმა-მარხვამ საღი-მარხო დროს
გატარება მოგიტანა: თფილისის წრე-
ში პუბლიკური ლექციების კითხვა
დაიწყეს.
ძარგი რომ არის პუბლიკური ლე-
ქციების კითხვა, ცოცხალი სიტყვის
გაგონება, საზოგადოთ ყოველთვის
და განსაკუთრებით ისეთს ქალაქში,
ისეთის ხალხისათვის, რომელიც ნა-
ბეჭდი სიტყვის ე. ი. წიგნებისა და
გაზეთ-ჟურნალების კითხვას მაგრე-
რიგათ არ არის შეჩვეული.

მაგრამ ამ ლექციებს ნამდვილი
სარგებლობა მხოლოდ მაშინ მოაქვთ
და მნიშვნელობაც მაშინ აქვთ, რო-
ცა წამკითხველები საზოგადოების
პირ-და-პირ ინტერესებს შეეხებიან,
როცა ისეთს საგნებს აცნობენ მსმე-
ნელთა, რომელიც აღნიშნულ დროს
იმათთვის საჭირო და სასიამოვნო
საგნებს შეადგენენ.

საუბედურათ, ეს პირველი ჭეშმა-
რიტება ავიწყდება ჩვენ წამკითხე-
ვებს. რასაკვირველია, საჭიროცაა და
სასიამოვნოც, რომ საზოგადოებამ
გაიცნოს ასტრონომიის კანონები,
სპექტრალური ანალიზი, ქიმიის მე-
ცნიერება და სხვა ამგვარი საგნები.
მაგრამ ამ ჭამად ჩვენთვის ამაღლებ

უფრო საჭირო საგნების ამორჩევა
შეიძლებოდა. მით-არ მაგალითს
მოვიყვანთ:

დღე-დღეზე უნდა მოველოდებო-
დეთ ჩვენ საერო წესის შემოღებას,
ე. ი. ისეთს დროს, როცა ზოგიერთ
თავის საქმეებს თვითონ ხალხი გა-
ნაგებს თავის ამორჩეული პირების
საშუალობითა, შექველია, რომ ეს
წესი თითქმის იმგვარივე იქნება, რო-
გორც რუსეთის მომეტებულ ნაწილ-
ში არის შემოღებული. მაგრამ სა-
ზოგადოება ხომ ამ წესს ვერ იცნობს,
ხომ ძალიან გაუჭირდება, პირველ
ხანებში მაინცა, იმ უფლებებით სარ-
გებლობა, რომელიც იმას მიენიჭე-
ბა! მაშა დრო არ არის, რომ ამ
დროისთვის ჩვენ ახლავე და ცოტ-
ცოტათი მოვემზადნეთ?

დღე-დღეზე უნდა მოველოდეთ
ჩვენ აგრეთვე ქვეყანაში ახალი სამ-
ხედრო კანონის შემოღებასა. ამის
გაცნობაც, ვგონებთ, საჭირო იყო;
ამ დროისთვის მომზადებასაც წინ-
დახედულობა და თადარიგი მოით-
ხოვს.

არის ბევრი სხვა ისეთი საგნები,
რომლის გაცნობას ამ ჭამად დღი-
ური, აუცილებელი მნიშვნელობა
აქვს ჩვენთვის; ამისთანა საგნები
არაიან მაგალითად ქალაქის გამგე-
ობის ახალი წესდება, ახალი წეს-
დება (გილიდური) ეპრობის თაობა-

ზე და სხვა, რომლის უცოდნელო-
ბა ხალხს ავიწროებს.

ამას გარდა, თვით მეცნიერებაშიც
შეიძლებოდა ბევრი ისეთი საგნების
ამორჩევა, რომელთაც ხალხის სა-
ჭიროებასთან უფრო დაახლოებითი
კავშირი ჰქონდა ან რომელიც
აღამიანის გონების გაფართოებას და
განსას უფრო დაეხმარებოდა, ვი-
დრემ სპექტრალური ანალიზის ცო-
დნა. ამგვარი საგნები არაიან; პოლი-
ტიკური ეკონომია, ისტორია, ლი-
ტერატურა და სხ. და სხ.

აი ამისთანა საგნებს რომ მომე-
ტებული ყურადღება მიაქციონ იმ
პირთა, რომელიც ჩვენში საზოგა-
დო ლექციებს მართავენ, ჩვენს ჰა-
ზრით, მაშინ ყოველთვის უკეთ წა-
ვიდოდა თვით ლექციების საქმეც,
რადგან ხალხი პირ-და-პირ თავის
სარგებლობას ნახვდა და უფრო ხა-
ლისიანათ დაიწყებდა იქ სიარულს.

ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ჩვენ
უარ-გყავთ რომლისაზე ხალხისთვის
მეცნიერების სარგებლობა. მხოლოდ
იმას ვამტკიცებთ, რომ დროთა ვი-
თარება ერთ დროს უფრო ერთნაირ
ცოდნისა და სწავლის გაფრცხლებას
მოთხოვს და მეორე დროს მეორე
გვარისას. მა საზოგადო მომქმედ
პირთა მოვალეობა ის არის, რომ
ყოველივე დროსთვის საგნის არჩევა
იცოდეს...

ფელტონი

სოფლური განხილვები

მხრობა

ჩვენ გლეხ-კაცს ბევრი მჭამელი
ჰყავს, მაგრამ ჩვენ მართო მსხვილებს
შეენიშნავეთ ხოლმე. ჩვენ დავინახეთ
მართო მაშინ რომელსამე სამწუხარო
მოვლინებას, როდესაც ის სრულიად
გამორჩენს თავს, როდესაც ის ჩაპ-
ურის მთელ საზოგადოებას რომე-
ლსამე უბედურ მოვლინებაში, რომ-
დესაც ის მოჰფენს საშინელ შიმ-
შილს, სიღარიბეს, ზნეობით დაცე-
მას და სხ.

ეს ბოლოში მოსულნი, გამორი-
ყულნი მოვლინებანი მიაქცევენ თა-
ვის თავზედ ურადლებას მაშინ, რო-
ცა კიდევ შეასრულეს თავის საქმე-
რასაკვირველია, რომ იმათი შეე-
ლა, ვისაც მოეწია ეს უბედურებანი,
შეუძლებელია, ან სრულიდით ძნე-
ლია ამ დროს. მაგრამ ჩვენ მაინც
ფაქტ-ფაქტს ვიწყებთ.

საქმე სულ სხვა ნაირად იქნებო-
და, რომ თავის დროზედ მიგვექცია
ჯეროვანი ყურადღება აღრევე, პირ-

ველსავე საქმის დაწყებაში; რომ ჩვენ
გაგვეზინჯა ის წერილმანი და ახლად
დასახული ნიშნები, რომლებიც მო-
ასწავებდნენ სამწუხარო ბოლოს;
რომ ჩვენ გაგვეგო და გაგვეზინჯა
ის მიზეზები, რომლებიც ბადებენ
ამ ნიშნებს და ამ მოვლინებათ, რო-
გორც გონიერათ რჩება კაცი ორ-
ღანული სწეულებათაგან, ისეც და
იმავე სახით უნდა რჩებოდეს საზო-
გადოება ეკონომიურ სწეულებათა-
გან.

აქ გამოჩნდებიან ხოლმე კიდევ იმ
გვარი მოვლინებანი ხალხის საზო-
გადობრივს ცხოვრებაში, რომელიც
არაიან მიმართულნი ხალხის გასაღა-
რიბებლათ, მაგრამ კაცს ეჩვენება,
ვითომც ისინი არაიან მისთვის სასარ-
გებლონი.

აქილოთ თუნდა ის საგანი, რომ-
ელზედაც მე მკითხველს ვებასები —
ო ჩ ხ რ ბ ა. ეს არის ერთმანერთის
შემწეობა, ერთმანერთის ხელის მო-
მართვა, მოგინდა რომ უბედურება,
დაგელუბა ძოხნა, ან სრულიდით არა
გყავს, — ყიდულობ ხუთიოდ მანეთის
სასმელს, თუ თავის სახლში არ მო-
გენახება, წახვალ იმ ალაგას, საცა

უხვათ არის ძოხნა, ჰპატურობ რამ-
დენსამე კაცს, დააღვივებ ოროლო-
სამსამ თასს ლინოს; შენ ისინი გა-
ჩუქებენ ძოხნას, რომელიც, რასა-
კვირველია, ბევრათ გადააჭარბებს შენ
დანახარჯს. — რომელიმე მიზეზისა გა-
მო მოგიცდა მოსავალი და შემოგა-
კლდა პური, — ხმარობ ისეც იმ სა-
შუალებას და აყენებ თავის თავს და
თავის სახლობას ფეხზედ.

ასე შემწეობას იღებენ საზოგადო-
ებისაგან ის თვითეული პირნი, რომ-
ელითაც ფათერაკი რამ მოუხდებათ.
რასაკვირველია, რომ ამ საშუალების
ხმარება ძნელია, როდესაც ამ ნაირი
უბედურება დაეცემა მთელ მხარეს,
მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზოგიერთი
პირები სარგებლობენ ამავე ჩვეულებ-
ით ან საშუალებით. — აი რაში მდგო-
მარეობს ოჩხარი:

როგორც მკითხველი ხედავს, ეს
არის ძლიერ სასარგებლო ფორმა
ერთმანერთის შემწეობისა, ეს არის
დაფუძნებული მშენიერ კაცის ბუ-
ნებაზედ — მისცეს შემწეობა გაჭირე-
ბულს, აყენოს ფეხზედ დაცემული.
ეს მართალია, ამ ჩვეულების წყა-
რო და საფუძველი მართლა მშვე-

ნიერია, მაგრამ უბედურება ისაა, რომ
ახლა ეს სულ სხვა ნაირათ გამოდის.
თუ ოჩხარს შერებოდეს მართლა გა-
ჭირებული და დაცემული, თუ ამას
ეძლეოდეს შემწეობა, — მაშინ დიდი
უფუნურება იქნება ამ ჩვეულების გა-
კიცხვა და წინააღმდეგობა. მაგრამ
მაგარი ის არის, რომ ოჩხარი არის,
შეძლებულთ ხელში, იმ საშუალება-
თაგანი, რომლებიც მათ უფლებად
ძლიერ ბევრია და რომლებითაც ისი-
ნი სწოვენ შეუძლებელი ხალხი და
ყველას, რასაც ისინი შეიძლებენ. რა
უყოთ, ბევრი სხვა რამ არის დაფუ-
ძნებული კაცის მშვენიერ გრძობებ-
ზედ, მაგრამ ბოლო დროს ამას ეძლე-
ვა სრულიად ბრუდე და დამახინჯე-
ბული ხასიათი, ბოლო დროს ეს
მიმართება ხოლმე ამავე მშვენიერი
გრძობების დასამახინჯებლად და
დასახველად.

აი, ოჩხარს შერებანი მომეტე-
ბულ ნაწილათ და თითქმის ყოველ-
თვისაც ის პირნი, რომლებიც მაში
სრულდებით არ საჭიროებენ, და არ-
თმევენ ამ საშუალების შემწეობით
უკანასკნელ ლუკმას იმათ, ვინც
ძრიელ გაჭირებულთა. მართალია, რა
ტომ ხდება ასე?

დღიური

დანიშნულ დროს, ყველიერის კვირაში, იყო თამაში იმ ლატარეისა, რომლის შემოსავალიც აქაური ქველის-მომქმედი საზოგადოების შკოლებსთვის არის დანიშნული. აუარებელი ხალხი მიაწყდა ამ დღეებში თფილისის საქალბო გიმნაზიას, სადაც მოხდა ტირაჟი; შავი ზღვის ნაპირზე ორასი დესიატინა მიწის მოგება, ეტყობა, ბევრს ჰსურდა... მოგების ბალეტები ჯერ კიდევ არ არის გამოცხადებული, რადგან აქა-იქ ბევრი ბილეთებია საზოგადოებისაგან გაცემული გასასყიდლად და იმათ დაბრუნებას მოელიან. ამბობენ, რომ მომავალი კვირის ხუთშაბათს გამოცხადდება ტირაჟის შედეგი და მოგების ბილეთების ნომრები.

ჩვენ გვწერენ შუთაისილამ, რომ 9 თებერვალს ცეცხლის დროს, უფ ბეთანოვის მალაზიაში ვილაცეები შეცვივნულან, ვითომ საქონლის გამოსატანად, მაგრამ რადგან პატრონს საეჭვო კაცებად უცნია ესენი და არაფერი დაუნებებია, სანთელი დაუქვრიათ, ძალად ნდომებით გამოტანა და შეტაკების დროს უიმისოთაც უბედური მალაზიის პატრონი ხანჯლით დაუქრიათ.

ამბობენ, რომ ამ მარტში დამტკიცდება შოთში, ნოვოროსიისკში და ანაპაში ზღვის ხელობის სასწავლებელი შკოლების გახსნა.

† მასულს 12 თებერვალს ჩვენს შალაქში გადაიცივლა ერთი მოღვაწე სომხური ლიტერატურისა— დეკანოზი ტერ-სტეფან მანდენიანი. მს იყო დამაარსებელი

რატომ ისინი არ ოხნობენ, რომ მელთაც მართლა უჭირსთ? — მსადელი გასაგებია, რომ საქმეს დააკვირდეს კაცი; მისთვის, ვისაც ოხნობები ნამდვილ ცხოვრებაში უნახავა, ეს კითხვა სრულებით ცხადი, დარღვეული და დამტკიცებულია.

ოხნარი უნდა მოახდინოს იმისთანა პირმა, რომელსაც იმედი აქვს, რომ იმის მოპატრუებას პატრესაცევენ და იმას წესიერად დაას. ჩუქრებენ: ოხნარი უნდა მოახდინოს იმისთანა პირმა, რომელსაც ბევრი ნაცნობები და მეგობრები ჰყავს იმ მხარეში, სადა ის ახდენს, და ეს მეგობრები შეძლებული და გავლენილი პირებია, რომლებიც ძალათ ერეკებიან საწყალ ხალხს და ემუქრებიან მას, რომელიც გაბედავს წინააღმდეგობას.

საწყალმა კაცმა კარგათ იცის, თუ რა საქმეს უგრებიან მასთან, თუ ვინ არის მისი მტერი და მოყვარე, ვინ საჭიროებს შემწეობა და ვის უნდა მისცეს ეს შემწეობა, მაგრამ მას ათასი პირობები არტყია, რომლებიც სულ სხვა ნაირათ ატრიალებენ მას. ის დროთა მსვლელობისაგან დასუსტებული და დაჩაგრულია, იმას ეძ-

თფილისის პირველი სომხური გაზეთის „მელუ პიასტანის“ (სომხეთის ფუტკარი), რომლის რედაქტორათაც 1858—1863 წლამდე იყო. ამავე 1858 წელს იმან დასწერა კომედია, სახელად „პეტრე და ბარბარე“, რომელიც ქალაქის სომხების სცენაზედ პირველად წარმოადგინეს.

ზაზეთი „პაკვაზი“ გვაცნობებს, რომ თოვლისაგან სურამის ახლომახლო სოფლებს შუა გზები თითქმის სრულებით შეკრული არისო და ამის გამო ყოველი ხორაგეული საშინლად გაძვირდა. ამას გარდა დამუშეული მგლები დარბიან სოფლებში და ამას წინათ ორი კაცი შეკამესო.

ამავე გაზეთს გაუგონია, რომ პაკვაზიის ზანყოფილება რუსეთის საიმპერატორო ბეოგრაფიული საზოგადოებისა წელს, მარტში, თავის ოცდახუთი წლის იუბილეს დღესასწაულობას აპირებსო.

შოთილამ გვწერენ, რომ ჩვენი ქალაქის ქუჩები თავის დღეში არ კოფილა ისეთს საძაგელ მდგომარეობაში, როგორც ამ ზამთარში არისო: ყველგან მუხლებამდი ტალახი და ტლაპო არისო და ამას გარდა არხები ისეთნაირად გაფუჭდაო, რომ ქვევით კა არა, ფაიტონითაც სიარული გაჭირვებით შეიძლებაო. მხოლოდ ბენ, რომ შოთის ქალაქის გამგეობამ და პოლიციამ ამ გარემოებას ცოტა მაინც არის ყურადღება მიაქციონ.

შარშან მართებლობისაგან ორი კომისისია იყო გამოგზავნილი ჩვენში, რომ იმათ შავი ზღვის პირად ამო-

ნელება წინააღმდეგობის გაწევა თავის შეძლებული მეზობლისა, გზირისა, ნაცელისა და მამასახლისისა... მისცემდა. რასაკვირველია, საწყალი კაცი შემწეობას უფრო საწყალ კაცს, ვიდრე შეძლებულსა, მაგრამ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას ეზიდებიან და ათრევენ; პირვილ შემთხვევაში კი ის თავისი საკუთარი ინიციატივით და სურვილით უნდა მოქმედდეს, მაგრამ ეს საკუთარი სურვილი მაში ძლიერ დასუსტებულია, ის პასსიურათ ემორჩილება ბევრ ილითუზებს, რომლებიც მის ბუნებაში შესულა, ჩვეულებათ გადაქცეულა და გამაგრებულა... აი რისთვისა აქვს შეძლებულ კაცს თავის მხარეზედ უფრო ბევრი, ვიდრე მართლად გაჭირვებულს.

ამ საზოგადო შენიშვნის შემდეგ, მე მკითხველს აუწერ ერთ ნამდვილ შემთხვევას, საილამაც უფრო ცხადათ დაინახებდა მოყვანილი შენიშვნების სიმართლე. მაგრამ არ უნდა იფიქროთ, რომ ეს შემთხვევა არის მართლ ერთი და მართლ ერთგვარ საშუალებათაგანი, რომლებითაც ჰყველფავენ შეძლებულნი შეუძლე-

ერჩიათ იმისთანა, ადგილი რომელიც ადგილი შესაერთებელი იქნებოდა მლაღიკავკაზის რკინის გზასთან. ამჟამათ, „მოსკოვის შუყებების“ სიტყვით, როგორც გამოკვლევა აჩვენებსო, ამ ნაესადგურა ტუპსეს მაგიერად ბელენჯუკი უმჯობინებიათ, რადგან ტენიკურის მხრით ამ უკანასკნელ ადგილას უფრო ცოტა დაბრკოლება იქნებოა.

„დროშის“ კორესპონდენცია

შიზიყილამ, 10 თებერვალს

ამ თვის ათს სიღნაღის უფბდში სოფ. მირზანში, მე დავეწარი სოფლის ახალი მოხელეების ამორჩევაზედ, სადაც კი თავშესაქცევი ამბები ენახე. მოხელეების ამორჩევაზედ მოვიდნენ სიღნაღილამ უფბდის უფროსის თანაშემწე და მომრიგებელი შუამავალი (მირაგის პოსრედნიკი).

მართი აზნაურის სახლის წინ შექტუნდა სამი სოფლის ხალხი, თითქმის სულ მოხუცი კაცები. მს კრება რომ გენახათ, გაგახსენდებოდათ, წაკითხული ძველი აღთქმის მოთხრობიდან იზრაილტიანების ცხოვრება; თითოეულ კაცს ხელში ეჭირა ჯოხი და ქუდ მოხდილი იდგა, თითქო წითელ ზღვაში გასვლისათვის ემზადებოდნენო და კიდივაც ის სცენა იყო, მაგრამ წინა მძღვარი არა ყავდათ ამორჩეული, რომ კვერთხი დაეკრა და ხალხი განეთავისუფლებინა...

მოაქირის წინ იყო გამართული მწვანე მაუდიტ სტოლი, გარშემო უსხედნენ უფბდის უფროსის თანაშემწე და მომრიგებელი შუამავალი, სტოლზე ეწყათ თავიანთი დაეთრები და ხელში ეჭირათ კანონის წიგნები; სტოლის წინ იდგა თარჯიმანი.

დაიწყეს ამორჩევა მოხელეებისა; უფბდის უფროსის თანაშემწემ უბრძა-

ბელთ. მქვენ ყველგან შეხედებით სხვა და სხვა სახით და სხვა და სხვა ფორმით ამ გვარ მოვლინებათ მწარე გლენის ცხოვრებაში. — ნება მომეცით, რომ ცოტა შორილამ დავიწყო.

ამ ბოლო წლებში ბევრგან შიმშილიანობა ჩამოვარდა. შიმშილი იყო ინდოეთში, შიმშილი იყო მცირე აზიაში, შიმშილი იყო სამარაში, შიმშილი იყო აგერ ჩვენ თვალწინ — შიზიყში. მს იმას არა ნიშნავს, რომ მარტო ამ ადგილებში იყო შიმშილი. მს შიმშილი მეტის-მეტათ გამოაშკარებული და მსხვილი იყო, რომელმაც მიაქცია ყურადღება თითქმის მთელი მეროპის მხრით. არც იმას ნიშნავს ეს, რომ შიმშილი იყო, და ახლა კი არ არის. ასეა კაცობრიობა; ის მარტო მაშინ დაინახავს უბედურებას, როდესაც დაუნახობა შეუძლებელია, როდესაც დაინახება ნამდვილი თვალით. მაგრამ სხვა თვალთ, რომელსაც ეტყვიან გონებას, იმას ფარდა აფარებული აქვს, რომ დაინახოს ადრევე.

როდესაც შიმშილობის ამბავი გავარდება ყველა მხარეში, მაშინ და-

ნა ხალხს: მინ სურსთ ამორჩიონ მამასახლისათ? ხალხი ერთ ზმამო უპასუხებს, ესა და ესა. მოსწონს რაღაცეებიც დაასახელოს.

შემდეგ მიდგა საქმე მალაზიის ზედამხედველის ამორჩევაზე; ხალხმა წარმოადგინა ერთი გლენი, რომელიც ჯერ უარზე იდგა, მაგრამ როცა შეიტყო, რომ ხალხის სურვილს წინვერა დაუდგებოდა, დათანხმდა.

— მისაც გსურთ მამასახლისათ და მოსამარტეებათ დასახლებული კაცები, ადექითო; ვისაც არა, და ისხედითო, გამოაცხადა უ. თანაშემწემ. ხალხი ერთბაშთ აიყრება და იტყვის: „ბგენი გესურან, ბატონო ნაჩალიკო, სხვა არავინ არ გვინდა.

ბოლოს უფბდის უფროსის თანაშემწემ მოიხმო ძველი მოხელეები, ჯერ მამასახლისს აართვა ჯაჭვი და შემდეგ მოსამართლეებს მენდლები, მათ სულიას ისევე ჩოხაზე ქონდა დაკერებული მენდალი და ძველმა მამასახლისმა უთხრა:

— შეილო, ხო იცი ჩვენი აღსასრული მოვიდა, რატო არ აიჭრი მა მენდალს?

— რა გინდ, კაცო? მინდა ააქვრით და გინდა დამტერივით; აქამდინაც მიექარე, რომ დავიკიდე...

უფბდის უფრ. თანაშემწემ აიღო ჯაჭვი და ახალ მამასახლისს ყელზე გადაცვა. მერმე წაიღნენ, სადილათ დასხდნენ და მკითხველის სადღეგრძელო დალიეს...

სასაცილო სცენას წარმოადგენდა ამკრებაში ერთი ჩაფარი, რომელიც უწყალოთ ერეკებოდა ხალხს ცხერის ფარასავით. ლეინისაგან თავბრუ დასხმულს დაეჭირა ხელში მათრახი და განურჩევლად სცემდა, ვინც ხელთ მოხედებოდა. „ბლენი კაცი რომ ცხენზე შეჯდება, ღმერთი დააიწყედებაო“, რომ არის ნათქვამია, ამ ჩაფარზედ ითქმის. იმასამ დროს თავის თავზე უდიდესი აღარავინ ეგონა.

იწყობენ უბედურების შიწვენას. შესდგება ორივე სქესისაგან კამიტეტები დამშეულებების შემწეობის მისაწვდელათ. — როდესაც სამარის ლუბერნიაში შიმშილი იყო, ჩვენ ქალაქს და ჩვენ მხარეს კიცხავდენ, რომ ის არ იღებს მონაწილეობას, როგორც საჭიროა, ამ უბედურების შეწვენაში. საზოგადოთ რომ ვსთქვათ, ამ გაკიცხვაში სიმართლე არის, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ მაში, რომ ჩვენი განათლებული საზოგადოება უფრო შორეულს უბედურებას შენიშნავს, ვიდრე მას, რაც მის წინ ხდებდა; ის უფრო შორეულს მიაწვდენს შემწეობას, ვიდრე თავის მეზობელს. მე არ ვიცი, რისგან წარმოსდგება ეს, — მისგან, რომ ამ საზოგადოებას ძლიერ გაუგანიერდა გონების გარონობტი და ამასთანავე გრძობების მოთხოვნილებას მიეცა ასევე განიერი და ფართო ხასიათი; თუ მისგან, რომ თავის თავი გამოიჩინოს საქვეყნოთ... არა, ბატონო, უკეთესია მეროპის კაცთ-მოყვარეობას მიუერთდეთ და მასთან ეიმოქმედოთ; ის ხალხები განათლებულებია, ისინი საქვეყნოთ ზრუნავენ!... დეე ჩვენ

მგრე გათავდა მოხელეების ამორ-
ჩევა სოფ. მირზანში.

შეანახნელათ ვისურვიებ, რომ ამ
ახალ ამორჩეულ ხალხის მოხელეებს
თავიანთი მოვალეობა კარგათ აეს-
რულებინათ...

მიხაილ შავაშვილი.

შუთისი, 15 თებერვალს

მტერი შეგიწუხდეთ ისე, როგორც
ზოგი შუთისელი ვაჭრები შეწუხე-
ბულან ცეცხლისაგან! 8-ს ამ თვეს
გენილმა ცეცხლმა 35 ქეთიკრის
დუქნები სამსე საქონლით სამი საა-
თის განმავლობაში გადასწვა სრულე-
ბით. საკვირველი სანახავია ის მხარე,
რომელიც ააოხრა ცეცხლმა; გეგო-
ნებათ ცეცხლის შემდეგ ზარბაზნების
სროლით დაუნგრევიათო.

შეტი უბედურება ეს არის, რომ
როგორც ამბობენ, ცეცხლის დროს
ესადნიკები ცხენებით ჩამოცივნუ-
ლან და ისე უზიდნით დუქნე-
ბიდან საქონლები, თითქო იარ-
მუკის დროს ნაღდ ფულზედ ეყი-
დოთ; ზოგიერთი საქონლის პატრო-
ნებისათვის უცემიან და ძალათი წა-
ურთმევიან საქონელი. ამ კეთილ-
შობილი ესადნიკების ქცევა რომ და-
უნახავთ კინტოებს, იმათაც უარესათ
გაუტყენიან. ამბობენ, ორი წილი
თუ დამწვარა, ერთი წილი დაკარგუ-
ლი არისო.

საკმაო ხალხი დაუჭერიათ ქურ-
დები.

ამ 35 დუქანში ვიდრე შეიდ დუქ-
ნამდინ დასტრახული ჰქონიათ. იმე-
დია ახლა მაინც მოვლენ გონს ჩე-
ნი სახლის პატრონები და ვაჭრები
და დიანახენ საზღვეველ საზოგა-
დობის სარგებლობას.

თვალწინ კაცი ოხრავდეს, დეე ტი-
რილი იყოს, დეე კაცი ბალახს სძო-
ვდეს და მწვანე მდელიზზედ გამოსულ
საქონელს შენატროდეს, რომ ის
აკმაყოფილებს თავის ბუნების უპირ-
ველესს და უსაჭიროებს მოთხოვნი-
ლებას! ამათ შემწვობას მე ვინ და-
მინახავს და ვინ შენიშნავს? ეს წერი-
ლმანი საქმეა, მე ამითი დავამტკიცებ
ჩემი ლტოლვილების და გრძობების
სივიწროვს...

ძაცი კაცს შემწვობას აძლევს; არ
შეუძლიან, რომ არ შეეწიოს. რა
მშვენიერი თვისება, რა მშვენიერი
ყვავილი დაუნგრევა ბუნებას კაცში,
მაგრამ როგორ ბრუდე, მომეტეუ-
ლათ უსარგებლო ფორმა მიუტია
კაცს ამ თვისებისათვის! მართი—ნუ
თუ კომიტეტებს, მაგრე დაწყობილ
ფილანტროპიას ჰქონდეს რამ დიდი
ძალა?! ნუ თუ სხვანაირი მიმართუ-
ლება, სხვანაირი ორგანიზაცია არ
მიეცემა ამ თვისებას! მეორე—არ
იცი, შორსმჭვრეტელი, განიერი
იდეების და განიერი გრძობების
მქონებელი კაცო, რომ შენი ცხო-
ვრება და შენი კეთილ-დღეობა უფ-
რო ვიწროთ შეკავშირებულია ჯერ

გამოძიება ამ საქმის თაობაზე გა-
მომძიებელთ უფ. ა. შიფინაშვილსა
და ბრ. ზამრეკელს აქვსთ მიხდობილი.

ა. თ—ი

რუსეთი

იაკუტსკიდან „ბირჟის უწყებების“
კორრესპონდენტი შემდეგ ამბავს
იწერება:

ეს მხარე სამი ათას ვერსის სიშო-
რის არის შუა გული რუსეთზე; შე-
მოდგომის შემდეგ არც ხმელეთით
და არც წყლით გზა არ არის; ამის
გამო ხანდისხან ხალხი აქ ძალიან
განსაცდელში არის; მაგალითად სა-
მოცდა ცამეტში აქ შიმშილი ყო-
ფილა, როგორც სამარაში, მაგრამ
სამარლები უფრო კარგ მდგომარე-
ობაში ყოფილან, რადგანაც აქ შე-
იძლებოდა პურის მიტანა, თუ ფული
ექნებოდა, ხოლო იაკუტსკში ფუ-
ლი რომ ყოფილიყო, მაინც ოხ-
რად რჩებოდა, რადგანაც პურის
მოტანა არ შეიძლებოდა. საქმელ-
სასმელი საშინლად გაძვირდა. ღლო-
ნებულს ხალხს ავთამყოფობაც და-
ერია: აქში ოთხმოცი უთუოდ ავთ
იყო და მათგანი 20 კედებოდა, ასე
რომ ბოლოს მთელი ოჯახები სრუ-
ლებით ამოწყდნენო.

* *

ხუთს იანვარს გამოსულა უმაღ-
ლესი ბრძანება, რომლის ძალით
შინლანდიის, შიტლანდიის და შურ-
ლანდიის ღენერალ-ლუბერნატორის
ადგილი უნდა გაუქმდეს.

* *

მრენბურლიდან იწერებიან, რომ
კალმიკებთა შორის ძალიან სწა-

შენ გვერდთ მცხოვრებთან და უფ-
რო მის ცხოვრებისაგანა დამოკიდე-
ბული?! არ იცი, რომ უფრო დიდი
ზნეობითი ვალდებულება აქვს, რომ
ჯერ ამას მისცე შემწვობა ყოველ
შემთხვევაში, და შემდეგ შორს
მყოფს?!... არ იცი, რომ კაცი ყველ-
გან კაცია?! არ იცი, რომ ამითი შენ
არ ამადლებ მაღალ-გონებას და
გრძობას, ამითი უფრო ამადლებ
მათ და ეწევი მთელ კაცობრიობას!
ჭიხიყში შიმშილობის დროს, მრ-
წომ მისცა იქაურ დამწეულ ხალხს
კარგი შემწვობა. მრწო მდებარე-
ობს თიანეთის უფლებში, თფილისი-
დამ 40 ვერსის დაშორებით, ჩრდი-
ლოეთისკენ. ეს არის მშვენიერი
დელიე, შემოფარგლული ყოველმხრით
მაღალი ტყიანი ქედით. ამ ქედის
ძირზედ, დელიეს გარშემო დამწკრი-
ებულია სოფლები. თუმცა ამ დე-
ლეზედ არ მიმდინარეობს დიდი წყა-
ლი, მაგრამ ის ძალიან ნესტიანი,
ნოტიო და ამასთანავე ძლიერ ნა-
ყოფიერი ალაგია. მრწოს გვალვა
ჯერ-ჯერობით ვერა სწყენს. გვალვი-
ან წლებში იქ მოსავალი ზღვით
ასტყდება ხოლმე. რასაკვირველია,

ელის ხალისი არისო. იმათ საზოგა-
დობას 20 ათასი ქცევა ტყიანი
მიწა შეეწირავს უკოლების სასარგე-
ბლოდ. მაგრევე მმართველობისათვის
უთხოვნიან პროგიმნაზიის გახსნა;
მაგრამ სხვა და სხვა მიზეზებისა
გამო მინისტერი არ დათანხმებულა.

* *

მლისავეტოვარდის ოლქის სასა-
მართლოს განუხილავს ერთ 99 წლის
მოხუცებული კაცის საქმე. ეს კაცი
სამჯერ ყოფილა გამოქცეული სიმ-
ბირიდან; მრავალჯერ ყოფილა დას-
ჯილი როზგით და სხვა ამნაირ სას-
ტიკი სასჯელით. ჯერ ის კიდევ
ყოჩილათ არის თურმე და სრულებით
არ ეტყობა 99 წლის სიმძიმე. სასა-
მართლოს გარდაუწყვეტია ხელ-ახლა
მისი სიმბირში გაგზავნა და ორმოც-
და-ათი როზგის დაკრა.

უცხო ქვეყნები

მსპანი. რამდენათაც ტელეგრა-
ფა გავრცობიებს, ძარლისტები სამუდა-
მოდ დაუმარცხებია დონ-ალფონსის
ჯარს. მითონ ღონ ძარლოსი გადა-
ვარდნილა და სფრანგეთიდან გაუ
გზავნია პროკლამაცია თავის ჯარი-
სათვის, რომ ის თავის თავს რაცხს
დამარცხებულად და სამუდემოდ შო-
რდება ბრძოლის ველს. მისი ჯარი
ზოგი საფრანგეთში გადვიდა თავის
სამეველად და ზოგი თითონვე მსპა-
ნიაში დაიბნა. მასაჯრებელი არ
არის, რომ ამითი აიღოს ხელი დონ
ძარლოსმა თავის საქმეზედ; სანამ მი-
სი შთამომავლობის ვინმე იქმნება და
ხალხშიდაც იმდენად სულელი გა-
მოჩნდება ვინმე, რომ მისთვის თავს
გაიმეტებს, ის არასოდეს არ დათ-
მობს, რომ არ ისარგებლოს ყოვე-
ლივე შემთხვევით, სადაც კი მისთვის

რომ იმასაც მოუფა თავის დრო,
როდესაც შესუსტდება იქაური მო-
სავალი უწყლობისაგან.

თითქვის მთელი ჭიხიყი ამ ად-
გილს დაწვა. თუმცა ჭიხიყი ამ
ადგილიდან ძლიერ დაშორებულია,
ამასთანავე ძლიერ ცუდი გზები აქვს,
მაგრამ იმათ მოაქვთ თავის ხარ-კა-
მეჩით ურმები, ყიდულობენ აქ თი-
თონ გლეხებისაგან პურს და მიაქვთ
შინ. თიბა-მკისა და თოხნის დროს
ეს მხარე ივსება ხოლმე ქიხიყელე-
ბით. მოდიან აქ ეს უბედურები სა-
მუშაოთ და მიაქვსთ სახლებში მწა-
რე ოფლით მოწურვილი ძლიერ
მცირე მონაქმედარი თავის დამწეუ-
ლი სახლობის გამოსაკვებათ. ბარ-
და ამისა, აქ დგებიან ქიხიყელები
მეძროხეთ, მოჯამაგირეთ...

ჭიხიყელებისთვის აქ პურის ვაჭ-
რობა სასარგებლო იყო მით, რომ
ისინი თ ვ ი თ ო ნ ყიდულობდნენ
გლეხებისაგან. მკითხველმა უნდა ი-
ცოდეს, რომ ამგვარ ვაჭრობას უ-
შლიან ძლიერ საენებელი შუამა-
ვალი ვაჭრები. თუ რომელსამე მხა-
რეს რამ შემოაკლდა, ეს წურბლები
მაშინათვე იქ დაიბადებიან, იყიდიან

რაიმე საიმედო გამოჩნდება. მას რა
შეაწუხებს და რა დაწევიებს უკან;
თუ გაიმარჯვა, მსპანიის ტახტი მოე-
ლის, და თუ დამარცხდა, როგორც
ენლა, ის მაინც მშვიდობით გადი-
ტაცებს თავს სხვა ქვეყანაში; მხო-
ლოდ მისი თავხედობა და პირუტ-
ყული თავმოყვარეობა დარჩება საზ-
ღველად იმ პირთათვის, ვინც თავის
ძვლები ბრძოლის ველზედ დასტოვა
და თავის ცოლ შვილი დაოხრებული
და დაქვრივებული დასტოვა და გაჭირ-
ვებაში, ისევ იმათ სამოწყალოდ, ვი-
საც ამდენხანს ეძძოდნენ.

მსმალეთი. მართი ინგლისელი
გაზეთი „Daily News“ ამბობს, რომ
თუ წმინდათ დავიცივთ ის მუხლი, პა-
რიჟის ტრაქტატის, სადაც აკრძალუ-
ლია მსმალეთის შინაურ საქმეებში
გარევა, მაშინ ნამეტნად ძნელდება
ანდრასის პროექტის ასრულება. თუ
სხვა ხელმწიფეების დახმარების იმე-
დი არ ექმნათ, რამ უნდა დააჯეროს
ბერცოვოვიჩის აჯანყებულები, რომ
ხვანთქარი ასრულებს ამ პროექტს
მაშინ როდესაც სხვა პროექტები
არასოდეს არ აუსრულებია? მეორეს
მხრით ან თითონ მსმალეთმა რო-
გორ უნდა გაამართლოს დაპირება, თუ
ის ადგილები არ დამწვიდდებიან, სა-
დაც ეს რეფორმები უნდა მოხდეს?
ამ ნაირ განუსაზღვრელ მდგომარე-
ობიდან ერთი საშუალება გამოგვიყ-
ვანს, რომ პესტრიამ დაიკავოს ეს აჯან-
ყებული ადგილები და მით დაეხმა-
როს ხვანთქარს მის დაპირებისათვის.
„ამიტომაც, ამბობს ეს გაზეთი, წი-
ნააღმდეგ ყოველგვარი დარწმუნები-
სა, ჩვენ მალე გავიგონებთ, რომ
პესტრიამ თავის ჯარით დაიკავა აჯან-
ყებული მსმალეთის პროვინციები,
რომ ამ გზით სრული საშუალება
მისცეს ხვანთქარს დაამწვიდოს ბერ-
ცოვოვიჩი; ამ ნაირათ მას უნდა სა-

ერთობლივ საქირო სურსათს და
შემდეგ დიდის სარგებლით ასალებენ
გაჭირებულთ შორის. შურო საენე-
ბელი გახდა ამგვარი შუამავალი ვა-
ჭრობა მას შემდეგ, როდესაც ამ
საქმეს ხელი წაჰყვეს ზოგიერთ გლე-
ხებთაგანთა.

ამავე დროს მრწოს დაერივნენ
მეოჩხრეები. მითო შემოდგომაზედ
ათი-თერთმეტი მეოჩხრე მაინც ჩამო-
უვლიდა ხოლმე სოფლებს. ამ ოჩ-
ხრობის სიბოროტე და ენება უფრო
დაინახება, როდესაც შევიტყობთ,
რომ ეს მეოჩხრეები, რომლებიც
მუქათთ, მთხოვარობით და საჩუქ-
რობით იღებდნენ აქ ორას-სამას კოდ
პურს და შემდეგ ამას გზავნიდნენ
ჭიხიყში და ასალებდნენ იქ კოდს
ოთხ-ხუთ მანეთათ; ან ამ პურს აქვე,
კარებზედ, ჰყიდდნენ პურის სავაჭროთ
მოსულ ქიხიყელებზედ. ეს მეოჩხრე-
ები, რასაკვირველია, უფრო ბევრს
ენებას აძლევენ გლეხებს ვიდრე
ზემოთ მოყვანილი წურბლები: ესე-
ნი იღებენ იმათივე როლს და მას-
თან არაფერს არ აძლევენ გლეხს
იმისგან ნაჩუქარ პურში, გარდა ორი-
სამი თასის დაჯანკებული ღვინის მეტს.

არხოთონი
(დასასრული შემდეგ №-ში).

მუდამოთ გაათავოს ის საქმე, რომე-
ლიც საქმოდ აღიღებებს ავსტრიის
სახელმწიფოს მყურდობას.

ნარევი

აი მაგალითი, თუ რამდენათ სარ-
გებლობენ კიდენ რუსეთში აღვო-
კატები საბრალო გლეხების უმე-
ტრებით.

ყველაფერს ნანდვილად იტყვის. ბლენ-
ხი და მწერალი მიდიან აღვოკატთან.
— პარგი, შევრიდეთ! მაგრამ 25
მანეთი მომეცი და იმ ვექსილებს
უკან დაგიბრუნებ; და კიდევ რომ
ექვი არაფერში გქონდეს, ხელ-წე-
რილს მოგცემ, რომ ვალი გარდამი-
ხადე.

განსხვავება

უ. ძალანდამის და ამხ. წიგნის მა-
ლაზიაში, ძუკიის ხილზიდ, ისყიდბა
ქართული სამზარეულო წიგნი,
შედგენილი კნა ბარბარე ჯორ-
ჯაძის აგან.

LA VELOUTINE
(ველუტინი)
ერთნაირი ბრინჯის კუდრი
(უმარილი), ბისმუტით გაკე-
თებული.



ისეთი ზედმოქმედება აქვს
ადამიანის ხორცის კანზე, რომ
აღბობს და ახლოგანდა ადა-
მიანის კანს დაამსგავსებს.
ძანს ეკერება და არა სჩანს.

pommade satin
(ატლასის კრამდა)
ხელების კანის რბილად შე-
სანახავად; ზამთარში არ და-
უსკდება ხელის კანი, ვინც
ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris
156-14

კავკასიის საბაჟო ინსტიტუტი
სამოზიარო ღოზიბლით
(მერაზე, ფოტის სტანციის მახლობლად)
მზობიარე ქალებს ყოველ დროს
დღე და ღამე მიიღებენ. აქიმობის-
თისა და საწოლისთვის დღეში ათი
შაურია; ღარიბები მუქთად. ღოზი-
ბლით არის ცალკე (საიდუმლო) ო-
თახები თვეში 30-50 მანეთად.
რჩევისათვის ავთამყოფებს ყოველ-
დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზი-

ტისა და წამლის ფასი ექვსი შაუ-
რი; ღარიბები მუქთად.
ყოველ დღე დილის 8 სათი-
დამ 9 1/2-მდი ღოქტორი პრეტვიევი
და 9 1/2-დამ 11-მდი ღოქტორი ანა-
ნოვი.
ღოზიბათობით, ოთხ შა-
ბათობით და პარასკეობით,
დილის 11 სათიდან 12-მდი ღოქ-
ტორი ალბანუსი და პაპველერი.
ღოზიბათობით, 12 სათ-
ზე რჩევა რემერტისა, ალბანუსისა,
ანანოვისა და პრეტვიევისა.

საუკეთესო საშუალება

თაგების, ვირ-თაგებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რის ბუტმანი, ქიმიკოსი პემტიტამ,



იმპერატორის სასახლის მიჯარაღრი
რამელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლე
ბისავან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდ-
გინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგების, ვირთაგებისა და ყოველ-
გვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინ-
ჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან
შედგენილია და მთელს მეროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო სა-
შუალება.



1872 წლის მოს-
კოვის პოლიტეხნი-
კურგამოფენისდროს
ამ საშუალების გამო-
გონისათვის, დიდი
ვერცხლის მედალს
მივიღე და აგრეთვე
მენის გამოფენაზე
1873 წელსა.

ზამოგონი პასუხს აგებს
ვინც ნარდათ იყიდის, უზრო ნაქლა ზასად დაუთმობან.
პრინს-კურანტი:



წამალი თაგებისა, ვირთაგებისა და
თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პა-
რაპოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინ-
ჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.;
ამასთანავე რეზინის მზაუნაა საქირო, რო-
მელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წა-
მალი—1 მან.; სასამოგონო სუნი აქვს და
არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დასხმენ.
დაბერებული ხორცის (მასლის) წამა-
ლი, ერთი ბანკა—60 კაპ.

უთმავანი დეპოარის თფილის-
ში, დეორცოვის ქუჩაზე, პარწრუნის
ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; მლადიკა ეკაზში, სეგალ-
თან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედვის სახლში; სტავრო-
პოლში—ტურილჩენკოსთან.
ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოტის ფული ცალკე უნდა
გამოგზავნონ. აპვი ისქიდება თმის საღებავში. 54-7

რბ. მზა.	დილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცაცხლის გეგევი	ფოზობა	ბირჟა	მან. კაპ	გაზანდა	მან. კაპ
მფილისი	9 36	4 54			ა) შოთილამ:	ა) მფილისი დამ:	პეტერბურგი, 17 თებ.		მფილისი, 19 თებერვ.	
მცხეთა			68	38	მდესისკენ—ხუთშაბ. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, მუთათისს, რუსეთს	მართი მანეთი ღირს:		პური შორავალის ფო.	90
მორი	12 21	8 41	2 40	1 23	სტამბოლს—კვირაობით დილას.	ყოველ დღე კვირას გარდა. შუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	ჭერი ფუთი.	55
ხაშური	2	11 10	3 92	2 18	ბ) სოხუმილამ:	ოთხშ., მზურგეთს—პარასკ და	პარიჟში 334 სანტიმი.	89	ბამბა მრევისისა, ფუთი.	5 40
ბეჟთუბანი			4 42	2 46	შოთს—ოთხშაბათს, დილით.	ორშაბა. ბაქოს—ორშ. სამშაგ. და	სკოლნტი(სარგებლისფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი.	6 30
შვირილა			5 81	3 23	მდესას—ოთხშაბათს, შუადღეზე.	შაბ. ძახეფს.—სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	100 25	ბაჟნტილი ბამბა ფო.	8
მუთაისი	8 23		6 75	3 75	შოთილამ: I II III	ბ) მფილისი დამ:	მოგებინი(პირველისესხი)	226	მატული თუშური ფო.	7 50
სამტრედია			7 73	4 29	სოხუმილი. 4 " 3 " 1 "	მფილისისა და შოთისაკენ—ყო-	მოგებინი (მეორე სესხი)	217 75	— მარაქამისა ფო.	7 50
ახ.-სენაკი			8 57	4 76	ჭერჩამდი. 20 50 15 50 5 "	ველ დღე, კვირას გარდა. მზურ-	ბირაოს ფურცლები:	94	პბრეშუმი ნუხური გრ.	2 60
შოთი	11 44		9 75	5 42	ტაგანროგ. 34 " 27 " 8 60	გეთს—ორშ. და პარასკ. შუგდილს	მფილ. საზნ. ბანკისა.	88	ჭონი, ფუთი.	4
შოთი	8 40				მდესამდი. 38 " 30 " 9 60	—ოთხშაბ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	86 75	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.-სენაკი		1 18	66		ტელეგრაფი მ. კაპ	გ) ზო რი დამ.	მოსკოვის (5%).		სტავრონის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია		2 61	14		მცი სიტყვა მფილისილამ:	ყოველგან ყოველ დღე, კვირას	აქციები:		ხორცი ძოხისისა, ლიტ.	63
მუთაისი	11 51	3 41	69		მუთათისს, შოთს	გარდა.	მდესის სავაჭრო ბანკის	172	— ცხვრისა, ლიტრა.	72
შვირილა		3 98	21		ბორს, დუშეთს, სიღნახს	დ) შოთი დამ:	შოთი-მფილ. რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟთუბანი		5 33	29		როსტოვს მდესას მოსკოვს	ყოველგან ყოველ დღე, კვი-	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, ბროც. ფუთი.	7 80
ხაშური	5 41	1 65	84	3 24	პეტერბურგს, პარაჟვას	რას გარდა.	პაკაზის და მერკურის . .	168	— ფხენილი ფუთი	6 40
მორი	7 23	3 67	36	4 9	მსხალეთში, შვეიცარიაში	წიგნის გავზენარუსეთში	პირვ. საზღვევ. საზოგ.	665	შავა გრვავალი ფუთი . .	19 25
მცხეთა		2 85	4		იტალიაში და სფრანგეთში.	და სამზღვარ გარეთ:	პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ზეთი ქუნჯუთისა ფო.	5 50
მფილისი	10 16	7 24	9 75	5 42	ინგლისში.	ღია წიგნის	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქოლი 1/2, იმპერიალი . .	5 95